ბრძოლით მოპოვებული ქულები

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) – 4:2 (2:2).

“ტორპედო” – ივანოვი, ტარასოვი, ხრენოვი, გომესი, მორგუნოვი, სუჩკოვი, ველიკანოვი, ივანოვი, სტრელცოვი, ფალინი. ზოლოტოვი.

“დინამო” – მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, კალოევი, ზაზროევი, ხასაია.

მსაჯი: ი. გრიგორიევი (ბაქო).

მატჩი გათამაშების ერთ–ერთ ლიდერსა და ერთ–ერთ აუტსაიდერს შორის დაიწყო ყოველგვარი წინასწარი “ნიადაგის მოსინჯვისა” და მოსამზადებელი პერიოდის გარეშე. პირველი სასტვენიდან მხოლოდ 7 წუთი იყო გასული და ამ მცირე ხნის განმავლობაში როგორც მოსკოველთა, ისე თბილისელთა მეკარემ საგრძნობი დატვირთვის მიღება მოასწრეს. ორივე გუნდმა მწვავე დებიუტი აირჩია და თავიდანვე სრულ ტემპში წარმართა თამაში.

მე–7 წუთზე ხასაიამ მიიღო ბურთი, გავიდა წინ და დაიწყო კომბინაცია, რომელიც შემდეგ განაგრძეს ჭკუასელმა და გაგნიძემ. ბოლო გადაცემა მიიღო ჭკუასელმა და ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში. 1:0.

“ტორპედომ” თამაში ცენტრიდან დაიწყო და ბურთმა მაშინვე მათ კართან გადაინაცვლა. დინამოელები ამჯერად თამაშობდნენ თამამად, აგრესიულად, გაშლილი ფრონტით. ორივე გარემარბი სისტემატურად მონაწილეობდა კარის უშუალო შეტევაში, ცენტრში მეტად აქტიური იყო კალოევი, რომელიც თითქმის ყოველთვის უგებდა “საჰაერო ბრძოლას” მაღალი ბურთებისათვის მოწინააღმდეგე მცველებს და დაბალ ბურთებსაც გეგმიანად ანაწილებდა პარტნიორებს შორის. ნახევარდაცვა ახლო კონტაქტში იყო შეტევის პირველ ხაზთან და თავისი კონტროლის ქვეშ ჰქონდა მინდვრის შუაგული.

გარდა რამდენიმე ეპიზოდური კონტრშეტევისა სტუმართა მხრივ, ინიციატივა დიდი ხნის მანძილზე დინამოელთა ხელთ იყო. იმ შეტევებიდან, რომელთაც თბილისელები აწარმოებდნენ დიდ სივრცეზე, ყველაზე ეფექტური იყო გარღვევები მარჯვენა მხრიდან, სადაც ჭკუასელი თავის დარაჯზე – გომესზე გაცილებით ძლიერი იყო. თბილისელი ოდნავ უკან იხევდა, თავისუფალ სექტორში ღებულობდა ბურთს და შემდგომ მთელი სისწრაფით გადიოდა წინ. ჭკუასელის ერთ–ერთი გარღვევა დამთავრდა იმით, რომ იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა სულ ახლო მანძილზე. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბურთი მეკარის ხელში აღმოჩნდა.

ამის შემდეგ მოსკოველებმა ოდნავ “მოითქვეს სული”. თავდამსხმელებმა მინდვრის სიღრმიდან წინა პოზიციებზე გადაინაცვლეს და შეტევაზეც გადავიდნენ. “დინამოს” კართან მოწოდებულ იქნა 4 კუთხური საჯარიმო, მაგრამ აქ უკანდახეული კალოევი ძიაპშპასთან ერთად მოწინააღმდეგეებს არ აძლევდა მაღალი ბურთების მიღების საშუალებას.

მე–20 წუთზე ჭკუასელი დრიბლინგით გავიდა გომესთან, მიუახლოვდა კარის ხაზს და ძლიერად მიაწოდა ცენტრისაკენ. სახიფათო მომენტში სუჩკოვმა ხელით ათამაშა ბურთი. მსაჯის მიერ დანიშნული 11–მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა ზაზროევმა – 2:0.

სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა მოსკოველთა კართან და როცა მაყურებელი მესამე გოლს ელოდა, საქმე პირიქით შეტრიალდა. ივანოვი მარტო დარჩა ცენტრში. მკვეთრად გაიჭრა წინ, კარისკენ. აქ მას შეებრძოლა ელოშვილი და მცველისა და თავდამსხმელის ბრძოლაში ბურთი მცველის ფეხიდან კარის შორეულ კუთხეში გავიდა – 1:2.

გოლის გატანამ ტორპედოელთა შორის სიმხნევე შეიტანა. მათ გადაწყვიტეს მაშინვე, დროის დაუკარგავად შეეტანათ გარდატეხა თამაშში. “დინამოს” დაცვა ორგანიზებულად შეხვდა მოწინააღმდეგის კონტრშეტევას, მაგრამ მეტად ძნელი აღმოჩნდა ორი პირველხარისხოვანი, შესანიშნავი თავდამსხმელის – სტრელცოვისა და ივანოვის ნეიტრალიზება. პირველი უაღრესად სახიფათოა ყოველ სიტუაციაში, მას აქვს სწრაფი ბიძგი ადგილიდან, უნაკლო დრიბლინგი, ზუსტი დარტყმა და ჩინებული ფიზიკური მონაცემები. ივანოვი არ ერიდება “შავ სამუშოს”, მოქმედებს დიდ ტერიტორიაზე, უძნელეს მდგომარეობაშიც კი დაუძაბავად და მსუბუქად ატარებს ბურთს.

სტრელცოვმა და ივანოვმა 35–ე წუთზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და გაიყვანეს ველიკანოვი, კარიდან 5 მეტრის დაცილებით. მოსკოველის მიერ დარტყმული თითქმის უიმედო ბურთი ბრწყინვალე ნახტომით აიღო მარღანიამ.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა. ბურთმა დიდ ხანს იტრიალა “დინამოს” საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, სანამ მოსკოველებმა იგი ფალინს არ გადასცეს. ამ უკანასკნელის დარტყმა ზუსტი და მოულოდნელი აღმოჩნდა და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა კვლავ დაიბრუნეს ინიციატივა. მართალია, უწინდებურად სახიფათო იყო სტრელცოვისა და ივანოვის გარღვევები, მაგრამ მოსკოველთა დაცვას სულ უფრო და უფრო უჭირდა დინამოელთა იერიშების მოგერიება, რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო მეკარე ივანოვმა კალოევისა და ჭკუასელისაგან.

მე–18 წუთზე კალოევმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი კართან და ხასაიამ ძნელი მდგომარეობიდან მესამე ბურთი გაიტანა. თბილისელთა ტემპიანი, დაგეგმილი იერიშები არ შენელებულა თამაშის ბოლომდე. 37–ე წუთზე მეკარე ივანოვისა და ხასაიას ბრძოლა მაღალი ბურთისათვის დამთავრდა მეოთხე გოლით “ტორპედოს” კარში. ეს საინტერესო თამაში მოიგო თბილისის “დინამომ” ანგარიშით 4:2.

აღნიშნულმა მატჩმა ცხადყო, რომ თბილისელთა გუნდს შეუძლია იყოს საბჭოთა ფეხბურთის მოწინავეთა რიგებში, ითამაშოს ლიდერების დონეზე, მაგრამ გუნდი უნდა ეცადოს არ დაუშვას ისეთი დასანანი ჩავარდნები, როგორიც მას მოსკოვის “ლოკომოტივთან” ჰქონდა.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა – 2:1.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 20 აპრილი, 1956 წ.